

ამოცანა N1

2021 წლის თებერვლის თვეში საწარმო „ზეკარში“ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ ბუღალტრულ დოკუმენტაციაში არსებულ მონაცემებთან შედარებით 5200 ლარის საქონელი ადგილზე არ აღმოჩნდა. ამ საქონლის საბაზრო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით 6431 ლარს უდრის. საწარმო „ზეკარი“ დღგ-ს გადამხდელია.

მოგეთხოვებათ: განსაზღვრეთ საწარმო „ზეკარისათვის“ ამ სიტუაციაში დღგ-ით დაბეგვრის საკითხი და გაითვალეთ დასარიცხი დღგ-ს ოდენობა.

ამოცანა N2

საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციამ შეიძინა 48380 ლარის (მ.შ. დღგ) საწერი ქაღალდი. თვის განმავლობაში საქონლის მთელი პარტია რეალიზებული იქნა საცალო ვაჭრობის საწარმოებზე 15%-იანი ფასნამატით.

მოგეთხოვებათ: განსაზღვრეთ დღგ-ს თანხა, რომელიც ექვემდებარება ბიუჯეტში შეტანას მოცემული საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

ამოცანა N3.

საწარმო „ოაზისმა“ საწარმო „მირაჟს“ მიაწოდა ჩარხი კონდენციონერების სანაცვლოდ. ჩარხო შეფასებულია 52000 ლარად (დღგ-ს გარეშე), ხოლო კონდენციონერების ღირებულება დღგ-ს გარეშე 49300 ლარია.

მოგეთხოვებათ: განსაზღვრეთ აღნიშნულ ოპერაციაზე საწარმო „ოაზისისათვის“ დარიცხული დღგ-ს ოდენობა.

ამოცანა N4.

შპს „ორიონი“ მ/წლის 01 იანვრიდან ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, კერძოდ სამშენებლო მასალების მიწოდებას. მან მ/წლის 10 იანვარს 45200 ლარის ღირებულების , ხოლო 18 იანვარს 56100 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალების რეალიზაცია განახორციელა. სხვა ოპერაციები შპს „ორიონს“ მ/წლის იანვრის თვეში არ განუხორციელებია.

ცნობილია, რომ შპს „ორიონმა“ საგადასახადო ორგანოს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა მ/წლის 16 იანვარს.

მოგეთხოვებათ: განსაზღვრეთ იანვრის თვის საანგარიშო პერიოდის შესაბამისად შპს „ორიონის“ მიერ ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ს ოდენობა.

ამოცანა N5

შპს „კოლხეთი“ დღგ-ს გადამხდელია 2020 წლის 10 მაისიდან და ახორციელებს საქონლის მიწოდებას ბითუმად და საცალოდ. 2021 წლის 16 მარტის მდგომარეობით ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში საცალო-სარეალიზაციო ობიექტებისთვის მიწოდებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 63720 ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობისათვის უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის ღირებულებამ - 16700 ლარი.

2021 წლის 13 მარტს შპს „კოლხეთმა“ საგადასახადო ორგანოს მიმართა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ. მარტის თვეში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების ოდენობამ შეადგინა 5120 ლარი, აგრეთვე, 2021 წლის მარტის ბოლოსათვის ნაშთად რიცხული საქონლის ღირებულება, რომელზედაც სრულად მიღებულია დღგ-ს ჩათვლა, არის 26380 ლარი დღგ-ს გარეშე.

მოგეთხოვებათ: გაიანგარიშეთ შპს „კოლხეთის“ მიერ 2021 წლის მარტის თვის შესაბამისი საანგარიშო პერიოდის მიხედვით ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ს ოდენობა.

ამოცანა N6

საანგარიშო პერიოდის მიხედვით შპს „დელტას“ მიერ განხორციელებულის შემდეგი ოპერაციები:

1) ადგილობრივი მომხმარებლებისათვის საქონლის საბითუმო მიწოდებიდან მიღებულმა ამონაგებმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 93100 ლარი, ხოლო უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით 1121 ლარის ტოლია (საქონლის შეძენისას გადახდილ დღგ-ზე სრულად მიღებულია ჩათვლა წინა საანგარიშო პერიოდში.

2) მყიდველისაგან ჩამორიცხულია საავანსო თანხა 65000 ლარი, რომლის სანაცვლოდაც გაწეული უნდა იქნას წინასწარ განსაზღვრული მოცულობის გადაზიდვის მომსახურება, თუმცა წინასწარ არ არის განსაზღვრული გადასაზიდი ტვირთი მოქცეული იქნება თუ არა ექსპორტის, რეექსპორტის, გარე გადამუშავების ან ტრანზიტის რეჟიმში.

3) დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალში შემოტანილი იქნა 17000 ლარი.

მოგეთხოვებათ: განსაზღვრეთ საანგარიშო პერიოდის შესაბამისად ბიუჯეტში შესატანი დღგ-ს ოდენობა, თუ ამავე პერიოდის მიხედვით ადგილობრივი მომწოდებლებისათვის გადახდილი დღგ შეადგენს 3500 ლარს

ამოცანა N7

საანგარიშო პერიოდის მიხედვით საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციების მიხედვით ცნობილია, რომ

- საქონლის საბითუმო რეალიზაციიდან მიღებულმა ამონაგებმა დღგ-ს გარეშე შეადგინა 540000 ლარი
- შენობის იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი დღგ-ს გარეშე 12000 ლარია.
- მომავალ თვეში საქონლის მიწოდების მიზნით მყიდველის მიერ წინასწარ ჩაირიცხა 50000 ლარი. მხარეების მიერ წინასწარვე განსაზღვრული იქნა მისაწოდებელი საქონელი და მოცულობა. განსაზღვრულია ისიც, რომ აღნიშნული საქონლის მიწოდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა.

გარდა ამისა ცნობილია, რომ:

- შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ არის 45000 ლარი.
- საწარმოო დანიშნულების მომსახურებაზე გადახდილია 8000 ლარის დღგ.
- იმპორტის ოპერაციაზე გადახდილი დღგ შეადგენს 7500 ლარს.

მოგეთხოვებათ: აღნიშნული ოპერაციების მიხედვით განსაზღვრეთ დღგ-ს თანხა, რომელიც ექვემდებარება ბიუჯეტში გადახდას საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

ამოცანა N8

საანგარიშო პერიოდის მიხედვით შპს „ირაომ“ განახორციელა შემდეგი ოპერაციები:

- საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით შპს „ირაომ“ 45%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს გასვლისას წილის სანაცვლოდ გადაუხადა ანგარიშიდან ფული 20000 ლარით და აგრეთვე 145000 ლარის საბაზრო ღირებულების საქონლით. (ღირებულება დღგ-ს გარეშეა).
- შემდგომი რეალიზაციისათვის განსაზღვრული საქონელიდან 1900 ლარის (დღგ-ს გარეშე) ღირებულების საქონელი, რომელზედაც წინა საანგარიშგებო პერიოდში მიღებულია დღგ-ს ჩათვლა, გამოყენებულია ქველმოქმედებაში.
- საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირისაგან, რომელსაც არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება საქართველოში, და რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მიღებულია 11000 ლარის მომსახურება.
- განხორციელებულია მიწის ნაკვეთის მიწოდება 150000 ლარად.
- ცნობილია ისიც, რომ ადგილობრივი მომწოდებლებისთვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით გადახდილმა დღგ-მ შეადგინა 18200 ლარი.

მოგეთხოვებათ: განსაზღვროთ აღნიშნული ოპერაციების მიხედვით საანგარიშო პერიოდის შესაბამისად ბიუჯეტში შესატანი დღგ-ს ოდენობა.

ამოცანა N 9

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული საწარმო A-ს რეორგანიზაცია დასრულდა 2021 წლის 27 მარტს. აღნიშნული პირი გაიყო ორად: შპს B და შპს C საწარმოებად.

2021 წლის 29 მარტისთვის შპს B-მ ადგილობრივი მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების ოპერაცია განახორციელა 45000 ლარად. საქონლის მიწოდების ოპერაციის ღირებულება მოცემულია დღგ-ს გარეშე.

ცნობილია, რომ 2021 წლის 01 აპრილს შპს C შეერწყა შპს Z-ს და შეიქმნა ახალი საწარმო შპს X. ამ მომენტისათვის შპს Z არ წარმოადგენდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულ პირს, რომლის მიერ შერწყმამდე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური ოდენობა შეადგენდა 97500 ლარს.

ცნობილია, რომ შპს C-ს დამოუკიდებლად სამეურნეო ოპერაციები არ განუხორციელებია, აგრეთვე, რეორგანიზაციის შედეგად შექმნილმა შპს X-მა 2021 წლის 03 აპრილს განახორციელა 12500 ლარის ღირებულების (დღგ-ს გარეშე) მომსახურების მიწოდება.

მოგეთხოვებათ: განსაზღვრეთ ამოცანის პირობაში მოცემული B და X საწარმოების დღგ-ს გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის საკითხები და ასევე მათ მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შედეგად შესაბამისი საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული დღგ-ს ოდენობები.

ამოცანა N 10

სტამბაში საანგარიშო პერიოდის მიხედვით განხორციელებულია შემდეგი ოპერაციები:

1) დღგ-ს გადამხდელისაგან შეძენილია 97000 ლარის (დღგ-ს გარეშე) საბეჭდი საშუალება - საღებავი, რომლისგანაც 67900 ლარის საღებავი გამოყენებული იქნება ჟურნალების დასაბეჭდად, ხოლო დანარჩენი 29100 ლარის საღებავი - პლაკატების ბეჭდვისათვის.

2) შეძენილია სატელეფონო მომსახურება, რომელშიდაც გადახდილია დღგ 1700 ლარის ოდენობით.

3) საანგარიშო პერიოდის მიხედვით დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხული დღგ-ს ოდენობა 13320 ლარია.

მოგეთხოვებათ: განსაზღვროთ ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ს ოდენობა საანგარიშო პერიოდის მიხედვით, თუ ცნობილია, რომ ამ პერიოდის საერთო ბრუნვა დღგ-ს გარეშე 185000 ლარია, ხოლო მათ შორის ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-სგან გათავისუფლებული ოპერაციების სიდიდე დღგ-ს გარეშე 129500 ლარს უდრის.

ამოცანა N 11

დღგ-ს გადამხდელმა საწარმო „დილა“-მ 2021 წლის თებერვლის თვეში შეიძინა მანქანა-დანადგარი, რომლის შეძენისას გადახდილი დღგ 12500 ლარია. განსაზღვრულია, რომ აღნიშნული დანადგარი გამოყენებული უნდა იქნეს როგორც დღგ-სგან ჩათვლის უფლებით, ისე ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ სამეურნეო ოპერაციებში, რომელთა გამიჯვნაც შეუძლებელია.

ცნობილია, რომ წინა საგადასახადო წლის მიხედვით განხორციელებული საერთო ბრუნვა დღგ-ს გარეშე 1350000 ლარია, მათ შორის ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვის სიდიდე 225000 ლარის ტოლია.

მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით განხორციელებულ მთლიან 1200000-იან ბრუნვაში ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა არის 264000 ლარი.

მოგეთხოვებათ:

- 1) განსაზღვრეთ დღგ-ს ოდენობა, რომელიც შეუძლია საწარმო „დილა“-მ ჩართოს შეძენილი ძირითადი საშუალების მიხედვით თებერვლის თვის ჩასათვლელ დღგ-ში.
- 2) მოახდინეთ 2021 წლის დეკემბრის თვეში ძირითად საშუალებასთან დაკავშირებული ჩათვლილი დღგ-ს თანხის კორექტირება, თუ ასეთი კორექტირების აუცილებლობა საჭიროა.

ამოცანა N12

შპს „კოლხეთი“ დღგ-ს გადამხდელია. მან მიმდინარე წლის მაისის თვეში შეიძინა ძირითადი საშუალება, კერძოდ შენობა-ნაგებობა წარმოების პროცესის განხორციელებისათვის. შენობის შეძენისას გადახდილი დღგ 19000 ლარის ტოლია. განსაზღვრულია, რომ აღნიშნული შენობა გამოყენებული უნდა იქნეს როგორც დღგ-სგან ჩათვლის უფლებით, ისე ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ სამეურნეო ოპერაციებში, რომელთა გამიჯვნაც შეუძლებელია.

ცნობილია, რომ წინა საგადასახადო წლის მიხედვით განხორციელებული საერთო ბრუნვა დღგ-ს გარეშე 930000 ლარია, მათ შორის ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-სგან გათავისუფლებული ოპერაციების სიდიდე 189100 ლარის უდრის.

მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით განხორციელებულ მთლიან 1250000-იან ბრუნვაში ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-სგან გათავისუფლებული ოპერაციების ოდენობა არის 187500 ლარი.

მოგეთხოვებათ:

- 1) განსაზღვრეთ დღგ-ს ოდენობა, რომელიც შეუძლია შპს „კოლხეთმა“ ჩართოს შემენილი ძირითადი საშუალების მიხედვით მაისის თვის ჩასათვლელ დღგ-ში.
- 2) გამოთვალეთ მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით დეკემბრის თვეში შენობასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ-ს თანხის ოდენობა.